ხელშეკრულება №41
(გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. ამბროლაური 16 ივნისი 2017 წ.

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქალაქ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია გეწაძის სახით და მეორეს მხრივ შპს. „საბა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის, სერმან მურჯიკნელის სახით მის: ქ. ახალქალაქი, ნალბანდიანის 61/8 (შემდგომში მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: CPV15600000 - დაფქული მარცვლეულის პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტების შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: **(CPV15614100) გრძელმარცვლიანი ბრინჯი** - თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს ობის, ნესტისა და მავნებლების გარეშე. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს. **(CPV15625000) მანანის ბურღული** - თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს, ობის, ნესტისა და მავნებლების გარეშე. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. შეფუთული და სათანადოდ ეტიკეტირებული. სურსათის უვნებლობა, ხარისხი, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. **(CPV15612100) ხორბლის ფქვილი** - უმაღლესი ხარისხის, ფერი – თეთრი, ობის, სინესტის და მავნებლების გარეშე. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. ეტიკეტი უნდა იყოს ნაბეჭდი ან მიმაგრებული ტომარაზე. **(CPV15613380) შვრიის ფანტელი** - უმაღლესი ხარისხის, ფერი – თეთრი, ობის, სინესტის და მავნებლების გარეშე. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება განისაზღვრება **596,50(ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარით**. (ფასების ცხრილი წარმოდგენილია დანართის სახით).

3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

4. მიღება-ჩაბარება, ანგარიშსწორება და შესრულების კონტროლი

4.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების(მიმღები კომისიის) მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და ზედნადებით/ანგარიშფაქტურით.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და ზედნადების/ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ა(ა)იპ. ქალაქ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ 2017 წლის 03 იანვარს №03 ბრძანებით შექმნილი მიმღები კომისია.

5. საქონლის მიწოდების ვადა

5.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2017 წლის 19 ივნისიდან 28 ივლისის ჩათვლით და 18 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
გ) ამ მუხლის 6.4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
გ) საქონლის გადაცემის პარალელურად მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია.
დ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

7. პირგასამტეხლო

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პიგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 % -ს.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შეუსრულებლობამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორის დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. შეტყობინება

11.1 ხელშეკრულების შესაბამისად, ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან).

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე..

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით და რისკით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ. ქალაქ ამბროლაურის სკოლამდელი
სააღმზრდელო დაწესებულება
ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა №6
მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი №TRESGE22
ს/კ №422934837

ხელმძღვანელი: მაია გეწაძე

მიმწოდებელი:

შპს. „საბა"
ქ. ახალქალაქი, ნალბანდიანის 61/8
მიმღების ბანკი ს.ს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ა/ა №GE22BG0000000139208800
ს/კ №423354818

ხელმძღვანელი: ხაჩიკ მურჯიკნელი

დანართი №1

№	პროდუქტის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	ჯამი
1	გრძელმარცვლიანი ბრინჯი	კგ	95,00	2,00	190,00
2	მანანის ბურღული	კგ	35,00	1,70	59,50
3	ხორბლის ფქვილი მაღალი ხარისხის	კგ	150,00	1,80	270,00
4	შვრიის ფანტელი	კგ	35,00	2,20	77,00
	ჯამი				596,50

(ხელმოწერა) (თანამდებობა)

(პრეტენდენტის დასახელება)

ბ.ა

შემსყიდველი: მაია გეწაძე

ბ.ა.